

მარიან ლეღერერი

თარგმანი -
ინტერპრეტაციული
მოღეღი

I. თარგმნის თეორიული ასპექტები

რა არის თარგმანი? სწორედ ამ კითხვას პასუხობს ეს თავი.

ინტერპრეტაციული თეორიის თანახმად, რომელსაც ეყრდნობა აქ გადმოცემული აზრები, თარგმნის პროცესი გულისხმობს ორიგინალის ტექსტის გაგებას, მისი ენობრივი ფორმის დევერბალიზაციასა და სხვა ენაზე გაგებული აზრებისა და შეგვრძნეული გრძნობების გადმოცემას. ეს კონსტატაცია თავიდან ზეპირ თარგმანზე იყო გაკეთებული, უფრო სწორად სინქრონულ თარგმანზე, თუმცა წერითი თარგმნისთვისაც გამოდგება. იმის გამო, რომ სათარგმნ ენაზე არ მივიღოთ გაუმართავი და ძნელად წასაკითხი ტექსტი, შეუძლებელია ერთი ენიდან მეორეზე პირდაპირ თარგმნა.

ამ ნაშრომის პირველ თავში, მინდა გავიხსენო ინტერპრეტაციული თეორიის ზეპირი საწყისი, რომელსაც მკაცრად ვიცავთ ESIT -ში და რა თქმა უნდა უარყოფ ზოგიერთ მტკიცებულებას იმის შესახებ, რომ ყველა სირთულე, რომელსაც მანქანური თარგმნის დროს ვხვდებით, მცდარია, რადგანაც სურთ მისი დაამკვიდრება ადამიანის მიერ განხორციელებულ თარგმანში.

ედმონდ კარი გვთავაზობს თარგმანის განსაზღვრებას, რომელსაც სრულიად ვიზიარებ,

«თარგმანი ეს ის ოპერაციაა, რომლის მიზანია დაადგინოს ეკვივალენტები ორ განსხვავებულ ენაზე დაწერილ ტექსტს შორის. ეს ეკვივალენტები ყოველთვის და უცილობლად ორი ტექსტის ბუნების, ასევე მათი დანიშნულების ფუნქციაა. იმ ურთიერთობის ფუნქციაა, რომელიც არსებობს ორი ხალხის კულტურებს შორის, ზნეობრივ კლიმატის, ინტელექტუალური, ემოციური, მათი ყველა გარემოებისთვის დამახასიათებელი დროის და ადგილის ფუნქციაა, ორიგინალისა და სათარგმნ ენებში» .

მეორე თავში ვისაუბრებ უფრო კონკრეტულ შეხედულებებზე და მოვიყვან უამრავ მაგალითს, რომლებიც თარგმნის ორმაგ ბუნებაზე მეტყველებს: ეკვივალენტებსა და შესატყვისობებზე.

მესამე თავში ვაზუსტებთ თარგმნის ადგილს ენათმეცნიერებასა და სხვა ენებთან მიმართებაში.

1.

უნდა გაიგო, რომ თარგმნო

ზოგადად, თარგმნის პროცესი ნიშნავს «ტექსტის გაგებას», შემდეგ, მეორე ეტაპზე, სათარგმნ ენაზე 'ამ ტექსტის ხელახლა გამოხატვას'. თითოეული ეს ოპერაცია მოითხოვს ცალკე შესწავლას, რადგანაც საკმაოდ კომპლექსურია. ტერმინს "გაგებას" შემოჰყავს ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ცოდნა. "ხელახლა გამოხატვის" ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ფლობენ სათარგმნ ენასა და თარგმნის ნიჭს; ასევე დამოკიდებულია სათარგმნ ტექსტის შინაარსზე. პირველ რიგში უნდა განვსაზღვროთ, თუ რა არის ზემომოყვანილი ტერმინი 'ტექსტი'. ეს უკანასკნელი მოითხოვს განსაზღვრას, რადგანაც გაგებისა და ხელახლა გადმოცემის პროცესები, სიტყვა 'ტექსტისთვის' მიცემული მნიშვნელობის ფუნქციებია.

ჩვენი უნივერსიტეტებში ენების დაუზოგავად სწავლებისას, ტექსტი ხშირად აღრეულია იმ ენასთან, რომელზედაც ის არ შედგენილი. იქ, ენის სწავლება უფრო მნიშვნელოვანია თარგმანზე, ლინგვისტურ თეორიებსა და თარგმნის თეორიებზე.

არსებითად, მთარგმნელისათვის ტექსტი შედგება ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ცოდნისაგან, რომლებიც ბეჭდური შრიფტითაა გამოხატული. იმისათვის, რომ ტექსტი იყოს თარგმნის არსებობის საგანი, ტერმინის გავრცელებული მნიშვნელობითა და იმ მნიშვნელობით, რომელზეც ვსაუბრობ, საჭიროა თავიდანვე გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან ენა, წინადადება და ტექსტი, რადგანაც თუკი შეიძლება 'ვთარგმნოთ' ყველა ამ დონეზე, თარგმნის პროცესი ერთნაირი არ იქნება სიტყვების, წინადადებებისა და ტექსტების მიხედვით.

. თარგმნის სამი დონე

ერთი ძალიან მარტივი მაგალითი, არტ ბუჩვალდის ტექსტიდან აღებული წინადადება (უფრო დეტალურად მას განვიხილავთ მეორე ნაწილის პირველ თავში), ოუ პაყ ჰერ?, განსაზღვრავს სამ განსხვავებულ დონესა და მათ ზეგავლენას თარგმანზე.

ლექსიკური სემანტიკის დონეზე, რომელიც ენის დონეა, მისი გამოყენების გარეშე, შეიძლება დავადგინოთ, რომ ამ ფრაზაში მოცემული თითოეული სიტყვის შესატყვისი არის:

You=vous, tu, te, toi-თქვენ, შენ

pay=payer, rétribuer, rémunérer-გადახდა, ფულადი ჯილდო, ანაზღაურება

her=la, l', lui, elle-ის, მას

ენის რეალიზების დონეზე, რომლისთვისაც შეიძლება გამოვიყენოთ მარტივად სოსიურის მეტყველების ცნება, ვერბალური კონტექსტი ზღუდავს შესაძლებელი შესატყვისების რაოდენობას. ამისათვის საკმარისია გადავშალოთ ორენოვანი ლექსიკონი, რომ დავრწმუნდეთ მის მნიშვნელობაში; Harrap' s Shorter Dictionary, სიტყვა pay(verb.-ზმნა) აქვს შესატყვისები, მიკრო-კონტექსტის ფუნქციით :

to pay bill= régler-გადახდა

to pay one's respect= présenter-წარდგენა

to pay tribute= rendre-პატივისცემის გამოხატვა

to pay money into an account= verser-ანგარიშზე ჩარიცხვა

ამ დონეზე ჩვენი მაგალითი: You pay her? საშუალებას გვაძლევს, რომ ეს წინადადება ვთარგმნოთ შემდეგნაირად: Vous la payez? (rétribuez, rémunérez) თქვენ მას უხდით? და შენ მას უხდი? ერთი სიტყვის მნიშვნელობა დაზუსტებულია იმ სიტყვებით, რომელიც მას ახლავს და თითოეული ამ მნიშვნელობიდან თავის მხრივ აზუსტებს სხვა სიტყვების მნიშვნელობას, მაგრამ მხოლოდ ვერბალური კონტექსტის დონეზე.

ტექსტის დონეზე, მეტყველების სემანტიკის შევსება ხდება მთარგმნელის კონტექსტუალური და ზოგადი ცოდნით. ამ ცოდნის წყალობით, მთარგმნელი თარგმნის ავტორს და არა მხოლოდ მის ენას. მოგვიანებით ვნახავთ, რომ მთარგმნელის ცოდნამ, რომელიც მას წინასწარ ჰქონდა და შეიძინა ტექსტის კითხვის დროს, საშუალება მისცა დაედგინა ეკვივალენტი წინადადებისათვის You pay her? შემდეგნაირად: “თქვენ უხდით მას?”

არავინ (მთარგმნელი მანქანის პირველი გამოშვებების გარდა) არ ყოფილა სიტყვასიტყვითი თარგმანის მომხრე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სურთ განახორციელონ ინტერლინგარული თარგმანი, რომლითაც ხდება კონკრეტული მაგალითების საფუძველზე ამ ენის ფუნქციონირების ახსნა. თუმცა არსებობს უამრავი თვალსაზრისი თარგმანზე, რომელიც მას სიტყვათა შესაბამისობად

მიიჩნევს. ეს თვალსაზრისი იმ ფაქტიდან გამომდინარეობს, რომ დიდი ხნის განმავლობაში ახდენდნენ სიტყვების იზოლირებას ვერბალური და კოგნიტიური კონტექსტის დასავიწყებლად.

დეკონტექსტუალიზაცია წარმოადგენს სიტყვასიტყვითი თარგმნის ერთგვარ ფორმას, რომელსაც ყველა აკრიტიკებს, მაგრამ ბევრი იყენებს. თავს უფლებას აძლევენ, იკითხონ, საჭიროა თუ არა მაგალითად, გერმანული სიტყვა ‘ეისტ’ ითარგმნოს ფრანგული სიტყვებით ‘esprit’, ‘génie’, ‘mentalité’, ‘fantôme’, ‘incarnation’, შესაბამისად ქართულად: “გონება, გენია, მენტალიტეტი, ილუზია, განსახიერება”, ისე რომ ანგარიშს არ უწევენ იმ ტექსტის მიერ გადმოცემულ ნიშან-თვისებებს, რომელშიც ეს სიტყვაა მოცემული. სიტყვის თარგმნის ცდუნება ანაცვლებს ტექსტების თარგმნის პროცესს ადგილს, რაც იწვევს აზრის დამახინჯებას.

ტერმინი «ლინგვისტური თარგმანი» მოიცავს სიტყვებისა და ფრაზების თარგმანს კონტექსტის გარეშე, ხოლო «ინტერპრეტაციულ თარგმანს» ვუწოდებ ტექსტების თარგმანს. ამ განსხვავების ხაზგასმა ჩემთვის აუცილებელი გახდა სინქრონული თარგმნის კვლევისას, რადგანაც აშკარაა იყო, რომ დისკურსების თარგმნა მოითხოვს უფრო ფართე და ღრმა ცოდნას, ვიდრე ერთმანეთის მიყოლებით ჩამწკრივებული ნიშნების თარგმნა და მთარგმნელს აიძულებს ინტერპრეტაციას მიმართოს. (პირველი ნაწილის მეორე თავში და მეორე ნაწილის პირველ თავში, მოვიყვან პრაქტიკულ მაგალითებს, რომლებიც ამ მოვლენას წერით თარგმანში დაგვიანახებს) .

. . ინტერპრეტაცია

ამ პარაგრაფში ვისაუბრებთ იმაზე, რომ შეუძლებელია თარგმანი “ინტერპრეტაციის” გარეშე და გავისხენებთ, რომ თარგმნის ინტერპრეტაციული თეორიას საფუძველი ჩაეყარა სინქრონულ თარგმანზე განხორციელებული დაკვირვების შედეგად. სწორედ შეგნებულად ვიყენებ სიტყვის “ინტერპრეტაცია” ორ მნიშვნელობას, რომელიც ერთდროულად გვახსენებს იმ ხერხს, რომელსაც იყენებენ სინქრონისტი თარგმნები და ასევე უცხო ტექსტის სიღრმისეულ გაგებასა და მოკლედ რომ ვთქვათ, მის აღდგენას.

ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ნაშრომში, რომელიც თარგმანს ეძღვნება, ჯორჯ შტაინერი აღნიშნავს სიტყვის ‘interpète’ (თარგმანი) “ორაზროვნებას”, როდესაც ის ადარებს ტერმინს ფრანგულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე. გერმანულად, წერდა ის, Dolmetcher (თარგმანი), არის:

«შუამავალი, რომელიც თარგმნის სავაჭრო დოკუმენტებს, უცხოელ მოგზაურთა შეკითხვებს, დიპლომატიურ და ტურისტულ შეკრებებზე. ის(თარგმანი) განათლებას იღებს თარგმანთა სკოლაში, სადაც მოთხოვნები ძალიან მკაცრია ენის ცოდნის მხრივ, მაგრამ სადაც არ აწუხებთ თარგმანის მაღალი დონე».

ფრანგულად, დასძენს იგი, *interpète* (თარჯიმანი),

«არის ადამიანი, რომელიც ბანკში, ადმინისტრაციასა თუ ტურისტულ სააგენტოში დახმარებას გაგიწევთ. ის ასევე კომენტარს აკეთებს და შემოქმედი აღმსრულებელი პირია. [...] სამაგიეროდ, *Traducteur* (მთარგმნელი) *translator* ან *traduttore*, უშეცდომოდ გვახსენებს, რომ ამით დაკავებული იყო პლუტარქეს თარმნით, ხოლო კრისტოფერ ლოგი ალამაზებდა ილიადას.»

ჯ. შტაინერი აღგენს, რომ :

“მნიშვნელობის გადატანის საიდუმლო, არსებითად ერთი და იგივეა, იქნება ეს საფოსტო განყოფილების ქვითარისა თუ დანტეს « სამოთხის » თარგმანი ;

ის ნაკლებ მნიშვნელოვნად როდი მიიჩნევს იმას, რომ :

“სწორედ ზედა საფეხურზე სემანტიკური ნიშნები საუკეთესოდ წარმოაჩენს თარგმნის თეორიულ და პრაქტიკულ პრობლემებს, მათ უფრო მჭიდროდ უკავშირებს მეტყველებისა და აზროვნების მოვლენებს.”

ჯ.შტაინერი არ ცდება, მაგრამ როდესაც საქმე ეხება იმ პროცესს, რომელიც სინქრონულ თარგმანზე დაკვირვების დროს იჩენს, იგი მაშინვე გასაგები ხდება. ის მარტივია და ეყრდნობა დისკურსის ყველა პარამეტრს და საშუალებას იძლევა უშუალო დაკვირვება და გასაგები დასკვნები გაგაკეთოთ თავად მთლიანად მოვლენის “თარგმანის” შესახებ. სინქრონული თარგმანი, სუფთა სახით, წარმოადგენს აზრის გადატანას, რომელიც წარმოიქმნება იმ დროს, როდესაც ერთი რომელიმე ტექსტის ან დისკურსის ემოციური გამოხატვა გადადის მთარგმნელის ნააზრევში, შემდეგ კი ამ ნააზრევით სხვა ემოციურ გამოხატვაში.

ამასთან ერთად, როდესაც საქმე ეხება თარგმანს, ნაკლებად აქვს მნიშვნელობა ტექსტთა ტიპებს შორის განსხვავებას. ის ტექსტი, რომლისათვისაც “ენის დონეზე მოთხოვნები მკაცრია” და ასევე “ლიტერატურული გამოხატვის ფორმები ფართო გაგებით, რომელიც მოითხოვს და გვპირდება უფრო მეტს”, ენისა და აზროვნების ერთი და იმავე მოვლენებს განეკუთვნება.

იმისათვის, რომ ავხსნათ თარგმანი, საჭიროა უფრო მეტად განვასხვაოთ კარგი (წერითი და ზეპირი) თარგმანები, რომლებიც ეყრდნობა გააზრებულ მეთოდოლოგიას, ცუდი (წერითი და ზეპირი) თარგმანებისაგან, რომლებიც აზრთა ჩამოყალიბების დარღვევის გამო “ენის დონეზე” რჩება სათარგმნ ტექსტებად.

. ზეპირმეტყველება და ტექსტი

ოც წელზე მეტია, რაც წილად მხვდა ბედნიერება შემესწავლა, მესწავლებინა და პრაქტიკაში გამომეყენებინა სინქრონული თარგმანი. გამოცდილებამ, რომელიც ამ პროცესზე დაკვირვებით შევიძინე, საშუალება მომცა, ზოგჯერ მარტო და ზოგჯერ დანიცა სელესკოპითან ერთად, ადრე დაწერილი ნაშრომებიდან გამეკეთებინა დასკვნები, რომლებიც სცილდება სინქრონისტის ხელობას და მისი ჭეშმარიტება ასევე გამოსადეგია წერითი თარგმანისათვის, რაშიც ყოველდღიურად ვრწმუნდები. ჩვენამდე, ამ თვალსაზრისით თავისი წვლილი შეიტანა ედმონდ კარიმ. ის იყო სინქრონისტი თარჯიშანი და მთარგმნელი. ის ერთ-ერთი პირველი მთარგმნელი იყო, ვინც შეეცადა წერითი თარგმანი სინქრონულ თარგმანზე დაყრდნობით აეხსნა. ეკარის ორმაგი კვალიფიკაცია ჰქონდა და ამიტომ ის გრძნობდა განსხვავებას ტექსტის “გამაოგნებელ ნათქვამსა” და დისკურსის ცოცხალ და სრულყოფილ ბუნებას შორის. 1962 წელს იგი წერდა:

“მხოლოდ წარმოთქმული სიტყვა გამოხატავს სრულად ადამიანის მეტყველებას და სწორედ ადამიანის დასახიჩრების ტოლფასია ის, როდესაც ამ მოვლენისადმი ინტერესს იჩენენ მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი აღქმა ხდება დაბეჭდილი ფურცლიდან.[...] თარჯიშანი იმყოფება ცოცხალი ადამიანის პირისპირ, რომელიც ფიქრობს და საუბრობს. სწორედ ამის გადმოსაცემად არის ის მოწოდებული.”

ამას შეიძლება ისიც დავუმატოთ, რომ თარჯიშანი მეტყველების გადაცემისა და მიღების გარემოებების პირისპირ იმყოფება. ის ამტკიცებს, რომ ორატორი ანგარიშს უწევს თავის მსმენელს და საკუთარი ნააზრვეის ფორმულირების მათთვის გასაგებად ადაპტირებას ახდენს. ამგვარად ის ხედავს ყოველ წუთს, როგორ ვლინდება კავშირი აზრსა და მის გამოხატვას შორის.

ე. კარი, ზეპირმეტყველებიდან ტექსტზე გადადის:

“ განა არ უნდა გვახსოვდეს ყოველთვის, რომ ტექსტი, ერთადერთია, რომლის ცოდნაზეც პრეტენზია გვაქვს. ტექსტი ხო მარ არის მხოლოდ რაღაც მუშია, ავტორის ცოცხლად წარმოთქმული მეტყველების არასწორი და ფრაგმენტული კოპიო? ‘მკვდარი’ დისკურსი და ‘პარალიზებული’ გამოხატვის ფორმა, რომ ვესაუბროთ პლატონს. განა მუდამ არ უნდა ვგრძნობდეთ ‘დაწერილი სიტყვის სპექტრულ მოწყენილობას’, როდესაც ვესაუბრებით ხოსე ორტეგა გასეს? ფაქტობრივად, განა ასე არ გვემართება თარგმნისას, რომ არა ერთხელ გვიკითხავს: რისი თქმა სურდა სინამდვილეში ავტორს, რომლის მხოლოდ არასრულყოფილ ინფორმაციას ვიღებ [...]”.

ე. კარი, თარგმნიდა როგორც ზეპირად, ისე წერით. ზეპირ თარგმანს იყენებდა საერთაშორისო შეხვედრებზე, ხოლო წერით თარგმნიდა ფილოსოფიურ თუ

მაღალი დონის ლიტერატურულ ნაწარმოებებს. ვერსაოდეს ვერ მაღავდა გარეგნობას იმის გამო, რომ ტექსტიდან აზრის გამოტანა გაცილებით უფრო რთული იყო, ვიდრე დისკურსიდან. ტექსტი დაშორებულია იმ გარემოებებს, რომლის დროსაც ის იქნა შექმნილი; ავტორი და მკითხველები მხოლოდ ფორმით არიან დაკავშირებული და ამიტომ, მრავალი სახის ინტერპრეტაციაა შესაძლებელი.

დაწერილი ტექსტსაც აქვს ასევე იმის პრეტენზია, რომ იყოს კომუნიკაციის აქტი: ის ავტორის მიერაა შედგენილი, გათვლილია მკითხველზე. ის კავშირი, რომელიც თავიდან არსებობს ტექსტსა და მის მიერ გადმოცემულ რეალობას შორის თანდათანობით ქრება. ხოლო, მისი შექმნის გარემოებების გააზრება ნელ-ნელა ბუნდოვანი ხდება, დროსთან ერთად იკარგება ის ზუსტი აზრი, რომელიც ავტორის ჩანაფიქრს შეესაბამება. გრაფიკული ნიშნები აგრძელებს არსებობას; ისინი ინარჩუნებენ თავიანთ მნიშვნელობებს ან კიდევ მნიშვნელობების რაღაც ნაწილს, და ზოგჯერ სწორედ მხოლოდ ესაა გასაგები. უფრო მეტიც, მკითხველი ბევრია და ამის გამო, ისინი ისეთივე პრივილეგირებული ადრესატები როდი არიან, როგორც მსმენელები ზეპირი გამოსვლისას.

Verba Volant, scripta manent. ზეპირი მეტყველება თავისი მნიშვნელობებით ქრება, მაგრამ აზრი აგრძელებს არსებობას იმათ მეხსიერებაში, ვისთვისაც არის განკუთვნილი დისკურსი. ტექსტი კი პირიქით თავის თავდაპირველ ადრესატებზე მეტხანს აგრძელებს არსებობას და შეუძლია შეთავაზოს შემდგომ თაობებს ინტერპრეტაციის უსასრული ვარიანტები. სწორედ, ალბათ ამით შეიძლება ავხსნათ ის მიზეზი თუ რატომ იკავდება თავს ზოგიერთი მეცნიერი თარგმნის ინტერპრეტაციულ თეორიასთან დაკავშირებით იმ რწმენით, რომ როდესაც ენის მიმართ ხარ ერთგული, ტექსტის მიმართაც ერთგული ხარ.

როგორც ზეპირი ისე წერითი თარგმნის დროს, გაგება ნიშნავს ინტერპრეტაციას, მაგრამ დროის მონაკვეთი მთარგმნელსა და ტექსტს შორის გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე თარჯიმანსა და დისკურს შორის და ამ შემთხვევაში ინტერპრეტაციის სირთულე ხშირად უფრო შესამჩნევია. ამან არ უნდა დამალოს ის ფაქტი, რომ ის მოქმედება რომელიც ხორციელდება ტექსტიდან აზრისაკენ და აზრიდან ახალ ტექსტამდე იგივეა, რაც დისკურსიდან მის ინტერპრეტაციამდე.